საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.org.ge

№ 32

28/01/2025

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული „ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის“ მიერ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის №438 ბრძანების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის შექმნისა და საქმიანობის, აკრედიტაციის კონკურსის ჩატარების, აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასურის განსაზღვრისა და ტარიფების განმსაზღვრელი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 სექტემბრის №349 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის 2025 წლის 23 იანვრის №1/2025 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის“ მიერ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული „ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციისთვის“ აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის –

„საქპატენტის“ თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის №438 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ვალდებულება ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების 1-წლიან ვადაში სრულყოფილად წარმოდგენის თაობაზე, შესრულებულია ჯეროვნად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენსა და ვებგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო